№ 171

პარასკევი, 11 აგვისტო 1895

1877—1895

# ივერია

№ 171

 პარასკევი, 11 აგვისტო 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვ. | მან. | კ. | თვ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 70 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 55 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**გამგეობა ქართულის დრამატიულის საზოგადოებისა**

**ამით აცხადებს, რომ 20 აგვისტოდგან დაიწყება გამოსაცდელი წარმოდგენები. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს დასში, კეთილ ინებოს და შემოიტანოს თხოვნა 15 ამ თვემდე, თეატრის დარბაზში 12-დამ 1 საათამდე ყოველდღე.**

**კაბინეტი კბილის ექიმთა**
**ვ. ი. ჭიჭინაძისა და ქ-ნის ქს. დ. ილარიონოვისა.**
მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.
ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

პირველ სექტემბრიდგან ამა წლისა წინამძღვარიანთ-კარის სასოფლო სამეურნეო სკოლაში მიიღებიან ჯანმრთელი ყმაწვილები, ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

ვისაც სურვილი აქვს სკოლაში ყმაწვილი მიაბაროს, იმან უნდა პირად, ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის მზრუნველს ილია ივანეს ძეს წინამძღვრიშვილს (მომრიგებელი მოსამართლეა ქალაქ ტფილისში), წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდგან მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული ამოწერილობა წლოვანების წიგნიდგან, და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. პირველ განყოფილებაში სკოლისა მოწაფეები მიიღებიან არა ნაკლებ ათის წლისა. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში არ იქნება, ხოლო ვინც მოსამზადებელ კლასის დანარჩენს განყოფილებაში შესვლას მოინდომებს, იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება, სწავლა და წლოვანობა, ე. ი. 13, 14, 15 წლისა და დაიჭიროს ეგზამენი. სასწავლო სკოლის კურს შეადგენს; 1) საღმრთო წერილი, 2) ქართული და რუსული ენები, 3) არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია, 4) სამშობლოს შესწავლა, მოკლე გეოგრაფია რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოებისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა, 5) ბუნების მეცნიერება, 6) სამეურნეო საგნები: მიწის შემუშავება, მებაღობა, მებოსტნობა, ვაზის მოვლა-მოშენება, ღვინის დაყენება, საქონლისა და აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენება, მეფუტკრობა და სასოფლო-მეურნეობის ანგარიშის ცოდნა, 7) ხატვა, 8) საეკლესიო და საერო გალობა, 9) სწავლა ხელოსნობისა: დურგლობისა, მჭედლობისა და წიგნების კაზმვისა.

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ სწავლას მიიღებენ და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედმამამ, ანუ იმათმა მოადგილემ, უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დახუროს.

შორის მხრიდან მოყვანილ ყმაწვილებისთვის სოფ. წინამძღვრიანთ-კარში გამართულია სკოლის ხარჯით 30 შეგირდისათვის სადგური. ყველა საქმეს ამ სადგურისას თვით სკოლის პედაგოგიური კრება განაგებს. თითო შეგირდის შესანახად დანიშნულია თვეში შვიდი მანეთი. ყმაწვილს დილა-საღამოს მიეცემა სტაქანი ჩაი, ანუ რძე პურით, შუადღისას საუზმე და სწავლის შემდეგ სადილი, ორი კერძი: ხსნილში სახსნილო და მარხვაში სამარხვო. კვირაში ერთხელ საცვალი გამოეცვლებათ.

რადგანაც ბევრმა დედ-მამამ დღევანდლამდე სადგურის შესანახავი ფული ვადაზედ არ შემოიტანეს, ამ ვითარების გამო წელს, ვისაც-კი ჰსურს მიაბაროს ყმაწვილი სკოლის სადგომში, იმან უნდა წარმოადგინოს წინათ: მთელის წლის შესანახი ფული პირველ სექტემბერს 84 მანეთი.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს რკინის საწოლი, ქვეშაგები, ექვსი ხელი საცვალი, სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანთ-საცმელი: ერთი საზამთრო და ორი საზაფხულო. თუ ეს ნივთები არ ექნებათ—ყმაწვილები სადგომში არ მიიღებიან.

## ახალი ამბავი

—

*** გურიიდგან გვწერენ, რომ წელს სიმინდები ძალიან დაზარალა გვალვებმა, ხოლო ღომის მოსავალიკი კარგი იქნებაო.

*** გაზეთ „კავკაზ“-ს დუშეთიდგან ატყობინებენ: ორმა თავადიშვილმა შ. ტ—მა და ლ. ა—მა რამდენისამე ამხანაგით მოიტაცეს სოფელ ახატანში პ—ვის ქალიშვილი. თავადიშვილებს უკან დაედევნენ ქალის ნათესავები და მეზობლები—გლეხები. მომხდარ შეტაკებაში თავადიშვილებს მოუკლავთ ერთი მდევარი და ერთიც დაუჭრიათ. სამშაბათს, 8 აგვისტოს, მცხეთის ბოქაულს შეუპყრია ყველანი მოტაცებულ ქალითურთ გორის მაზრაში.

*** ჩვენს ფოტოგრაფს ა. როინაშვილს მოუვლია საფარისა და ზარზმის მონასტრები და ახლა გამგზავრებულა ვარძიისა და სხვა მონასტრებისაკენ, რომ იქაც მოიხილოს მხატვრობა და გადმოიღოს და თვით მონასტრებიც გადახატოს.

*** სამტრედიიდგან გვატყობინებენ, რომ ბატონს რატილს იქაც გაუმართავს ქართულ სიმღერების კონცერტი და ბლომადაც დასწრებია ხალხი. რატილი კვირას, 6 ამ თვეს დაბრუნდა ტფილისში და ხოროსათვის ახალს ტანისამოს თურმე ამზადებინებს, რადგან „ნიჟნი ნოვგოროდის“ გამოფენაზედ მიუწვევიათ. როგორც შევიტყეთ, ოც-და-ათ-კაცზედ მეტი ქართველი მომღერლები მიჰყავს თურმე რატილს „ნიჟნი ნოვგოროდში“.

*** ტფილისის საგუბერნიო სამოქალაქო საქმეთა უწყებამ დაადგინა ამას წინად, რომ ტფილისის სამოქალაქო სკოლები კერძო სკოლებად

## ფელეტონი

—

***

(ვუძღვნი კნ. მარიამ ვახტანგის ასულს ჯამბაკურ-ორბელიანისას).

„რომ ბედში მეოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,
ეგ ჭეშმარიტი სიყვარულია;
საქმე ის არის—იგი გიყვარდეს,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია!“
ი. ჭავჭავაძე.

ნეტავ მას, ვისაც ქრისტეს მოძღვრება,
უკვდავებისა მასწავებელი,
ცხოვრების ლამპრად გულში უღვივის,
მუდამ სხივ-მფენი, გაუქრობელი;
ნეტავ მას, ვისაც ძმათ სიყვარული
ჰმადლებს სულიერს ზრდას და შვებასა,
ვისთვისაც იქ სჩქეფს სიამის წყარო,
სად ღმერთი ჰსახავს უკვდავებასა;
ნეტავი იმას, ვისაც ამ ქვეყნის
ამაოება ვერ ურთობს გულსა,
თვით იტანჯება, მით ტანჯვის ცრემლებს
სანუგეშებლად სწმენდს დაჩაგრულსა;
ნეტავი იმას, ვის მზაკვართ შური,
ბოროტთა ენა არ მიაჩნს არად,
ვისაც თავისი სრულად ძალ-ღონე
გარდაუქმნია დავრდომილთ ფარად!..
ნეტარ არს იგი!.. მას არ სჭირდება
ჩვენგან დიდება ალტაცებული,
არც არა ძეგლი მოკლე დროითი
და დროებითვე განათებული:
მას ასულდგმულებს სულ სხვა რამ მადლი,
მას უკვდავად ჰქმნის ზენაარსთ ძალი,
ქანდაკს უმზადებს აწმყო უჩინევლად
და აცისკროვნებს თვით მომავალი!..
გრ. აბაშიძე.

◆◆

### მეცხრამეტე საუკუნეა თუ?

(ნამდვილი ამბავი).

ალიბეგი ეს ეს არის უფროსისაგან დაბრუნდა, თავისს ოთახში გაჩქარებული დადის და სიამოვნების ნიშნად ხელებს ძალზედ იფშვნეტავს.

— აბა, ალიბეგ! თუ ბიჭი ხარ, შენი ბიჭობა ეხლა უნდა გამოიჩინო; ან სირცხვილი—ან „შტატის“ მოხელეობა!

ჰმ, რა ძლიერ მალე მიცნო უფროსმა? ბრძენია, სწორედ ბრძენი ჩვენი უფროსი! „ბაშ უსტა“ უფროსო, შენს სურვილს ალიბეგი მალე შეასრულებს და იმედიცა მაქვს შენს პატიოსანს სიტყვას არ „გადახვალ! მაგრამ... ალიბეგი ეცებ ცალ ქუსლზედ შემოტრიალდა და აივანზედ მდგომს ჩაფარს გასძახა.

— გოგი!

ოთახში ქალარა შერთული გოგია შემოვიდა. გოგიას სახეზედ ნათლად ეტყობოდა, რომ ნატირთი სამსახური ძლიერ კარგადა ჰქონდა შესწავლილი და თავისს უფროსთა არა იშვიათი ქება-დიდებით სამსახურის ჯეროვნად აღსრულებისათვის საკმაოდ წათამამებულიყო.

— აბა, გოგი! უთხრა ალიბეგმა ჩაფარს, ხვალ დილა-ადრიანად უნდა სოფ. ნ—კენ გავემგზავრნეთ. შენც ხომ იცი, რა საქმისათვისაც დაგვნიშნა უფროსმა. შენ როგორც გამოცდილი ჩაფარი იქედია დამეხმარები! ბრძანება ჩემი, აღსრულება შენი! ფიქრი ნუ გაქვს, წინ ვერავინ დაგვიდგება, თუ ჩვენ ერთგულად ვიოქმედებთ. ისიც უნდა გითხრა, რომ თუ უფროსის ბრძანება უნაკლულოდ შევასრულეთ, მეც და შენც ჯეროვანს ჯილდოს მივიღებთ. უფროსმა შენ იმიტომ ამოგირჩია, რომ უეჭველად შენი დაჯილდოება უნდა. ჩვენს უფროსს ძლიერა სწყინს, რომ წინანდელს უფროსს შენი ერთგული სამსახური ერთხელაც არ დაუსაჩუქრებია. აბა ეხლა, ჩემო გოგი, წადი და დილაზედ ადრე ცხენები მოიყვანე!

— ბატონი ბრძანდებით! მე ყოველთვის მზათა ვარ...

— არა, გააწყვეტინა სიტყვა ალიბეგმა, რაი მინდა ლაპარაკი, მე ყველაფერი ვიცი.

გოგიამ ალიბეგს თავი დაუკრა და ცხენებისკენ გასწია.

—

ალიბეგი სულ ერთი თვე იყო, რაც თ—ის სამაზრო სამმართველოს შტატ გარეთ მოხელეთ დანიშნეს. სხვა-და-სხვა უწყება-დაწესებულების შტატგარეთი მოხელეობა ალიბეგს ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი, კარგა ხანიც იყო, რაც ალიბეგიმ ერთი უწყებიდგან მეორე უწყებაში გადახტომით, თუმცა-კი ცდას არ აკლებდა, ვერ იქნა და შტატ გარეთობა ვერ შესცვალა „შტატნობაზედ“... დღეს-კი როგორღაც ბედმა გაუღიმა! უფროსმა მძიმე საქმე მიანდო და თან დაჰპირდა კიდეც—შენს დიდის ხნის სურვილს შეგისრულებ, თუ მონდობილს საქმეს ჯეროვანად შეასრულებო. ალიბეგის ახალი უფროსი მეტად გამჭრიახი გონების ადამიანი გამოდგა, მალე შეატყო ალიბეგს მოხელეობის უნარი და დარწმუნდა კიდეც, რომ სწორედ ალიბეგი შეიძლებდა მის გუნება სურვილისებრს შეუცდომელს მოხელის ბუქნას და სწორედ ამიტომ წინა საღამოს უფროსმა ალიბეგი დაიბარა და უთხრა:

— ალიბეგ! ჯერ შენ იქნება არცაკი შეგეტყოს, რომ ჩემს მოადგილეს მთელი მაზრა თავ-მინებებული ჰქონია! ხალხი გაურყვნია, წაუთამამებია... მეც და ჩემს ახალს მოხელეებსაც ძლიერ დიდი შრომა გვინდა, რომ ხალხში რაიმე წესიერება და რიგიანობა აღვადგინოთ. წარმოიდგინე, ზოგიერთი სოფლები ისე ყურდაგდებული—უქნარები შექნილან, რომ ჩემს სიტყვა-ბრძანებას ჩალადაცკი აღარა სთვლიან. ეს კიდევ არაფერი, საქმე იმაშია, რომ გაღმა სოფლებს დღეს დიდძალი ვალი დასწოლია კისერზედ. სხვა და-სხვა გარდასახადი არ შეაქვს ხაზინაში და არც თუ ზრუნავს ამისათვის. აი, ყველა რიგიანმა მოხელემ აქ უნდა გამოიჩინოს გამჭრიახობა, თუ არ უნდა, რომ ერთს ადგილზედ დაობდეს. ერთი სიტყვით, თუ გსურს, რომ დიდხანს „შტატს ზევით“ არ იყო და „შტატნი“ სამსახური მოგცე, უნდა ხვალვე გაემგზავრო გაღმა სოფლებისკენ. მომეტებული ყურადღება მიაქციე სოფ. ნ—ს და გ—ს... სამმართველოში მიიღებ საჭირო ქაღალდებს, საიდგანაც შეიტყობ, თუ ხსენებულს სოფლებზედ რა და რა—რამდენი ფულია ვალად დარჩენილი და მაშასადამე გარდასახდელი. ორს კვირაზედ ყველა საქმეებს აასრულებ და სოფელსაც შესაფერად აღაგმავ, მაშინ მე ვიცი და ჩემმა პატიოსნებამ, როგორც დაგაჯილდოვებ! ამ საქმისათვის დაგიბარე და ეხლა შენ იცი...

— დიდად მოხარული ვარ, რომ თქვენი ნდობა დავიმსახურე, მოახსენა უფროსს ალიბეგმა. დიდის სიამოვნებით აღვასრულებ თქვენს ბრძანებას, მხოლოდ გთხოვთ ერთი გამოცდილი ჩაფარი მომცეთ. ამასთან საჭიროდა ვრაცხ მოგახსენოთ, რომ სოფლებიდამ შეიძლება ბევრი მოჩივარი გიახლოთ თქვენთან, რადგან თქვენის ბრძანების ასასრულებლად, უეჭველია, ძალის ხმარება დამჭირდება. იმედი მაქვს მოჩივრებს არ მიიღებთ და ჩემს მოქმედებას არ შეზღუდავთ.

— რას ამბობ! დაჰკარ, დაატუსაღე, გაჰყიდე, გაანადგურე, ერთი სიტყვით, რაც გინდა და როგორც გინდა, მოიქეცი და ჩემი დავალებაკი უნაკლულოდ შეასრულე! თუ საჭიროდ დაინახო, ორი ჩაფარიც წაიყვანე. ეხლა შენ იცი! არ დაივიწყო, რომ მაგ საქმის აღსრულება თუ მე პირად ჯეროვანს სახელს შემძენს, შენც ბედსა გწევს.

ალიბეგმა უფროსს მდაბლად დაუკრა თავი და სიჩქაროდ შინისაკენ გამოეშურა.

—

ჯერ მზე არ ამოსულიყო, რომ ალიბეგი და ორი ჩაფარი გაჩქარებით მიეშურებოდნენ გაღმა სოფლებისაკენ. ს. ნა—ლის მცხოვრებთ დილის მუშაობა შეეყენებინათ და საუზმეს შეექცეოდნენ, როცა ალიბეგმა მხლებ-

კი არ უნდა ითვლებოდნენ, არამედ საზოგადო სასწავლებლებათ და ამიტომ ადგილობრივ სამოსწავლო მმართველობას უნდა ექვემდებარებოდნენ. ახლა, როგორც ადგილობრივი გაზეთები იტყობინებიან, შინაგან საქმეთა სამინისტროს, თანახმად საერო განათლების სამინისტროს წინადადებისა, ეს დადგენილება შეუწყნარებია.

⁂ 8 აგვისტოს ავლაბრის მორევში ჩავარდა ცხენი და ურემი. ცხენი დაირჩო.

⁂ შემჩნეულია რომ ტფილისის მაზრის სამხრეთ-დასავლეთ მხარეზედ ნაცარი იმდენად არ არის მოდებული, როგორც ჩრდილოეთისაკენ და აღმოსავლეთისკენ. ეს ავადმყოფობა მანავში და თოხლაურში უფრო გავრცელებულიო.

⁂ გუშინ, 10 აგვისტოს, მტკვრის მარჯვენა ნაპირზედ, ანჩისხატის ეკკლესიის ახლოს იპოვნეს გვამი ახლად დაბადებულის ბავშვისა. ეს ამბავი პოლიციას შეატყობინეს.

ამავე ადგილას აუარებელი საქონლის პატივი ყრია, უკიდია ცეცხლი და ამ სიცხე-პაპანაქებაში საშინელი სუნი ტრიალებს ამ არე-მარეში.

⁂ მილდიუ ჯერ-ჯერობით ახალი ავადმყოფობაა და ამიტომ ისე არ არის გავრცელებული, როგორც ნაცარი. იგი უფრო მეტად მოდებული აქვთ მანავისა და თოხლაურის ვენახებს, ივრის პირის სხვა სოფლებში ნაკლებად არის.

⁂ „მოსკოვ-ვედომ.“-ის სიტყვით, მთავრობას განუზრახავს ზოგიერთ ძვირფასის ხეების გაზიდვა ამიერ კავკასიიდგან სამზღვარ-გარეთ აღკრძალოს.

⁂ რამოდენად გულცივად ექცევა თავისს მოვალეობას ქალაქის თვით-მმართველობა -- ამას გვიმტკიცებს შემდეგი მაგალითი: 9 ამ თვისას საღამოს 10 საათზედ ტელეფონის მეხანიკოსი ჩქარის ნაბიჯით მიდიოდა გოლოვინის პროსპექტზედ „ორიანტის“ სასტუმროს წინ და უცბად წაიქცა. ხალხი მოგროვდა, წამოაყენეს და აღმოჩნდა, რომ თურმე ფეხი ჩავარდნოდა სარდაფის ფანჯრის ჩარჩოში, რომელიც მაღაზიების წინ არის დაფენილი. თურმე უმეტესი მათგანი დამტვრეული და დაზიანებულია და სქელი შუშები და ფიცრები აფარია. კიდევ კარგი რომ ასე მშვიდობით გადარჩა საწყალი ტეხნიკოსი, თორემ ადვილად შესაძლებელია, რომ ფეხი მოსტეხოდა. დროა ქალაქის თვით-მმართველობამ საჭირო ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და აიძულოს სახლის პატრონები რიგიანად და საიმედოდ გააკეთონ სარდაფის ფანჯრები, მეტადრე იქ, სადაც ხალხი დაიარება.

⁂ კახეთიდგან ჩამოსულები გვატყობინებენ, რომ წელს თუმცა მართალია საშინლად დაზიანდა ვაზი, მაგრამ სამაგიეროდ ამისა მშვენიერი მოსავალია თურმე პურისა, ფეტვისა, სიმინდისა და სხვა. პურისა ხომ იქამდის კარგი მოსავალია, რომ ხალხს ჯერ არამც თუ მინდვრიდგან სრულიად არ მოუზიდნია კალოებზედ ძნა, დღესაც-კი ბევრი ისევ მოსამკელია ყანა, რადგანაც ყანას ფეტვმა და სიმინდმაც ზედ უსწრო და გლეხებმა აღარ იციან, რა ჰქნან, რომელ ერთს მოჰკიდონ ხელიო. თუ პატარა რიგიანი ამინდი არ დაუდგათ საბრალოებს, წელს სრულებით ვერ მოასწრებენ გალეწვას და გასალეწი ძლიერ ბევრი დარჩებათო.

⁂ ქუთაისი: იმ თვის გასულამდე ისეთი სიცხეები იყო აქეთკენ, რომ სრულიად დავკარგეთ მოსავლის იმედი, ისე ახრუკა გვალვამ სიმინდები. ამ თვის ორს ისეთი მშვენიერი წვიმა მოვიდა, რომ გადაყვითლებული ყანები სამოდ აამწყვანა, ასე რომ ამის შემდეგ იმედი გვაქვს კარგის მოსავლისა. ამ ჟამად ძალიანაც გრილა აქეთ.

⁂ ს. მიქელ-გაბრიელი, (გურია): ერთად-ერთი ჩვენი ცხოვრების სალსარი არის სიმინდი, რომელზედაც დამოკიდებულია ყოველგვარი ოჯახის მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ჯერ-ჯერობით წრეულს ვერაფერი გასახარელი წელიწადი დაგვიდგა; გამუდმებულმა წვიმებმა ძალიან დააზიანა ეგრედ წოდებული „მერეები“, რომლებიც ჩვენს სოფელში საუკეთესო საყანე მიწებს შეადგენენ და რომლსაც, მუშების სიტყვით, „ჰყიერი“ (წვიმიანი წელიწადი) ძალიან სწყენს. სამაგიეროდ „ზეგანი“ კარგს მოსავალს გვპირდება, მაგრამ საუბედუროდ უკანასკნელის სივრცე ძალიან პატარაა. სიმინდის ფასი წელს გასულ წლებზედ შედარებით ბევრით მომატებული იყო, მაგრამ სამაგიეროდ მოსავალიც ნაკლები იყო.

ციებ-ცხელებამ ლამის სული ამოგვართვას; როდის იქნება, რომ ერთი ექიმი გვეღირსოს?!.

⁂ სოფ. ველისციხე: რამდენიც დრო გადის, იმდენი უფრო თვალს იჩენს ჩვენის მამასახლისის საქმის უცოდინარობა და, მით უმეტეს, თავისს მოვალეობისადმი გულგრილობა. წარმოიდგინეთ, იქამდის ხელაღებული ჰყავს თავისადმი რწმუნებული საზოგადოება, რომ ვისაც რა უნდა, იმასა სჩადის და დამშლელი კი არავინა ჰყავს. ამითი ხომ დიდათა ჰსარგებლობენ ჩვენი ღამის რაინდები და ისე არ გაივლის ხოლმე ღამე, რომ სახლი არ გატეხონ, ან ცხენი არ მოიპარონ და სხვა.

⁂ ს. კარდანახი: მართალია შხირად ისმის ყოველ კუთხიდამ ძარცვა-გლეჯისა და ავაზაკობის ხმა, მაგრამ საუბედუროდ ვერც ჩვენ კარდანახელები ავსცდით ამ თითქმის საერთო სენს და ჩვენში გაჩნდნენ სხვის ქონების მოყვარულნი. მაგ. ამ ორიოდ დღის წინად ერთს გლეხს, რომელიც ცოლშვილით კალოზედ იყო გასული და სახლი კლიტის ანაბარა გაეშო, გაეტეხნათ ქურდებს და ისე გაეწმინდათ, რომ აღარაფერი დაეტოვებინათ, გარდა იმისა, რაც ზედ შერჩენოდათ კალოზედ გასულებს. დამნაშავენი დღემდისაც არ აღმოუჩენიათ.

⁂ ს. ბრეთი, (გორის მაზრა): ჩვენსკენ წელს მშვენიერი მოსავალია, კალოებზედ გახურებული მუშაობაა. საუბედუროდ ვენახებში რაღაც ავადმყოფობა გაჩნდა: ვაზს ფოთოლი ახმება და მტევნებიც ჰქნება. ესე ემართება არა ერთსა და ორს ვენახს, არამედ სულ ყველას. ნეტავ, თუ ვინმე მიაქცევს ყურადღებას ჩვენსკენ ამ მოვლენას?

⁂ ს. ვანათი, (გორის მაზრა): 6 აგვისტოს, ფერიცვალების დღეს, დასავლეთის მხრიდგან ელვის სისწრაფით და სრულიად მოულოდნელად წამოვიდა საშინელი ქარიშხალი, მას მოჰყვა მსხვილი, კაკლის ოდენა სეტყვა, რომელმაც მთლად გაანადგურა აქაური ჭირნახული: სიმინდები, მოსამკალი ყანები, ბოსტნეულობა და ხილი. სეტყვა-ქარიშხალმა სოფ. ვანათიდგან გადაიარა ორტევზედ, ღვრიაზედ, შელეურზედ, მარალეთზედ, მარმარეთზედ, საბოლოკეზედ და გუდისზედ, სადაც სეტყვა მეორე დღემდისაც არ აღია. ქარიშხალმა რამდენიმე სახლის სახურავი აგლიჯა და ძირს დასცა, მრავალი ხე ძირიანად დედამიწიდგან ამოგლიჯა. სოფ. საბოლოკეში მწყემსები ხევში გადაეყარა და, რომ პატრონები დროზედ არ მოსწრებოდნენ, ცოცხლებს ვერ გადაარჩენდნენ. ზარალი დიდია, ბევრს ოჯახს გამოეხურა კარები და ლუკმა პურის ილაჯი გაუწყდა; აქ ვენახებს არ აშენებს ხალხი, მარტო სულადზედ არის დამყარებული და ამისგანაც ცარიელი დარჩა.

## შეცდომის გასწორება.

ლამის-ყანიდამ მოწერილს კორესპონდენციაში მოგვივიდა შემდეგი შეცდომა: დაბეჭდილია «ბედისაგან დაჯილდოვებულნი» ეწოდების; უნდა იყოს „ბედისაგან დაჯილდოებულნი“ ასცდებიან. ამასთანავე რედაქციის შენიშვნაც ამავე კორესპონდენციას ეკუთვნის.

---

ლებით სოფელი გადმოიარა და სოფლის სამმართველოს ეზოში შეაჭენა ცხენი. აქ ეზოში ცხენს სამჯერ კარგი მათრახი ამოაწნა და თავ-მოწონებით გადმოხტა ცხენიდამ. გოგიამ ალიბეგს ცხენი ჩამოართვა. ალიბეგი სამმართველოს შენობის აივანზედ ავიდა, ორჯელ გაიზმორა, სამჯერ მაგრა ჩაახველა და გოგიას გადმოსძახა:

— გოგი, ცხენები მათეს, მეორე ჩაფარს, გადაეცი და შენ საჩქაროდ სოფლის მამასახლისი მომიყვანე.

ს. ნ—ის მამასახლისს „ჩინოვნიკის“ მობრძანება მეზობლისაგან შეეტყო და ფეხ-აჩქარებით სამმართველოსკენ მოდიოდა. გზაზედ გოგია შეჰხვდა.

— შე მუდრეგო სადა ხარ? განა უკან უნდა გდიო! შეუტია გოგიამ მომავალს მამასახლისს.

— რა გაჯავრებს, კაცო, აკი მოვდივარ... უპასუხა მამასახლისმა და ფეხს უფრო აუჩქარა.

ალიბეგმა დაინახა მომავალი მამასახლისი, მკაცრი სახე მიიღო და აივნიდამ გადმოსძახა.

— შენა ხარ აქაური მამასახლისი?

— ჩვენი საზოგადოების მამასახლისი, შენი ჭირიმე, მეორე სოფელში სცხოვრებს. მე აქაური ნაცვალი გახლავართ.

— ეგ სულ ერთია, შენ აქ მამასახლისი ხარ! მერე შენ იცი, რისთვისაც მოვედი მე აქ?

— არა გიბრძანებიათ-რა და აბა რა ვიცი!

— როგორ თუ არ იცი! აუმაღლა ხმა ალიბეგმა.- რის მოხელე ხარ, თუ არ იცი, რომ „ჩინოვნიკი“ უსაქმოდ არ დაიძვრება! მალე შეგატყობინებ, რისთვისაც მოვედი და ვაი, შენი ბრალი, თუ კარგად არ მოქცეულხარ.

— სამსახური რაც შეგვიძლიან, უარს არ ვიტყვით!

— შეგაძლებინებ, — დაიღრიალა ალიბეგმა! გარყვნილხარ და ყბედობ! ჩემთან თამაშობა არ გამოგადგებათ. მე მოგარჯულებთ! მაგრამ შენ ჯერ წადი, ერთი კარგი სადილი მომიმზადე და საქმეზედაც მოვასწრობთ ლაპარაკს.

ნაცვალი წასასვლელად გატრიალდა.

— მოიცა, შეაყენა ნაცვალი ალიბეგმა. წაიყვანე ჩაფარი და ცხენებისათვის საჭირო საჭმელი გამოატანე.

მარტოდ დარჩენილი ალიბეგი სასამართლოს ოთახში შევიდა, ხურჯინიდამ ქაღალდების ბოღჩა ამოიღო და თვისს უფროსს საჩქაროდ მისწერა:

„თანხმად ბრძანებისა თქვენის მაღალ-კეთილშობილებისა მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ დღეს ათ საათზედ გამოვედი სოფ. ნ—ში და შევუდექ მონდობილის საქმის აღსრულებასა.

შტატ გარეთი მოხელე ალიბეგი“.

ქაღალდი ფრთხილად დაჰკეცა, დავთარში ჩასწერა და აივანზედ გამოვიდა.

— კარგად დავიწყე მგონი! მამასახლისს გული აუფანცქალდა! ჰმ! ჯერ სად არის შარბათი, ჯერ შორს არის...

— თქვენ ვინა ხართ, შესწყვიტა ოცნება ალიბეგმა და ეზოში მყოფს სოფლის გზირებს გამოელაპარაკა.

— გზირები გახლავართ.

— მამასახლისი სადღაა აქამდისინ?

— სადილისათვის საჭირო ღვინის მოსატანად გიახლათ და მალე გიახლებათ!

— თქვენ რაღას აკეთებთ?

— სადილს ვამზადებთ.

— აბა მალე, თორემ ბევრი საქმე მაქვს! მართლა ერთ-ერთი საჩქაროდ გაიქეცით და სოფლიდგან ერთი მარჯვე ბიჭი მომიყვანეთ. თ—ში უფროსთან ან ქაღალდი უნდა გავატანო.

ერთი გზირთაგანი ფიცხლავ გატრიალდა და ჩქარის ნაბიჯით გაემგზავრა სოფლისაკენ.

გზირის სიფხიზლე-სიმარდე ალიბეგს მოეწონა და იქ დარჩენილს გზირსა ჰკითხა.

— ბიჭო, იმ გზირს სახელად რა ჰქვიან.

— ტოკვია, ბატონო!

— როგორ თუ ტოკვია ეგ რა სახელია!

— მეტი სახელი გახლავთ! მაგისაგან სოფელი ძლიერ სუსხშია და იმიტომ მეტი სახელი დაარქვეს.

— მაშ ყოჩაღია?

— ძლიერ ბატონო! ისეთი მარჯვე ხელი აქვს, რომ ძნელად თუ მიზანს გააცდინოს. აი წელან თქვენი სადილისთვის ორი დედალი გვინდოდა და ერთი ჯოხის წამოსმით ორი ისეთი დედალი გააგორა, რომ მთელ პაპუანთ ქათმებს თვალი გამოსთხარა.

— ჰა! ყოჩაღ ბიჭო! გზირიც მაგეთი უნდა, მაშ...

ამ ლაპარაკში ნაცვალი და გოგიაც მოვიდნენ. ახლად მოსულთ თან კარგა მოზრდილი ღვინით გაჭედილი ტიკით დატვირთული სოფლის კაცი მოჰყვათ.

— გზირო, სადილი მზათა გაქვს? შეეკითხა ნაცვალი გზირს.

— ყველაფერი მზათ გახლავთ! პურები-ღა გვაკლია და იმასაც ეხლავ მოვარბევინებ!

— აბა მალე! ბღაჰიაანთკენ გადირბინე, რომ მოვდიოდით პურს თონეში მაშინა კრავდნენ.

გზირმა მონახა თავისი ჯოხი და ბღაჰიაანთკენ გაეშურა. მაკრინე ახლად გამომცხვარს პურს ხიდა, გზირი რომ მივიდა.

— მაკრინეს გაუმარჯოს! შეჰღრიჭა გზირმა. აბა მაკრინე ერთი ათიოდე შოთი აქეთ გადმააწყე!

— რას ამბობ, კაცო, სულ ათი შოთი ძლივს მივაკარ მეზობლის თონის ნასურებზედ და ისიც შენ რომ წაიღო, ამათ რაღა უყო.

მაკრინემ მიუთითა თონის მახლობლად მდგომ ნახევრად ტიტველი სამს შვილზედ.

— თვალი შენც გამოგხეთქია და შენს ობლებსაც! შეუმაღლა გზირმა. „ჩინოვნიკს“ პურს ელის და შენ აქ ლაპარაკს გამიბი.

— კაცო, ქვრივ-ოხერს რომ არ მაატანო, განა სოფელში ოჯახის შვილი ცოტაა...

— რას ყბედობ დედაკაცო! არ იცი, რომ „ჩინოვნიკს“ თუ არა ახალი გამომცხვარი პური, სხვას ვერ ვაკადრებთ?.. მაგრამ... მამეცა,.. გზირმა მუჯლუგუნი წაუსო მაკრინეს, ათი შოთი აიოიღლიავა და სამმართველოსკენ გაეშურა.

საცოდავმა მაკრინემ გულჩათუთქულმა და თვალცრემლიანმა ისღა მიაძახა:

— ამ ობლების ცოდომ შხამათ შეგარგოთ ეგ პური. მაგრამ გზირი ქვრივ-ობოლ ოხერის ჩივილს ყურს არ უგდებდა. გაშლილი სუფრა თბილს პურებს-ღა ელოდა. რაკი პურიც გაჩნდა, ალიბეგმა აღარ ახანა, სუფრას მოუჯდა და გულუხვს ხორაგს ხარბად გაუსო კბილი. ნაცვალი, ჩაფრები და გზირები სადილის გათავებამდე ალიბეგს თავს ადგნენ. რაკი ალიბეგმა ჯეროვნად ამოამსო მუცელი—თვისს მხლებლებს დანაყრების ნება მისცა.

— მხოლოდ მალე შენაყრდით, რომ სოფლად წახვიდეთ და ხვალ დილისათვის მთელი სოფელი შეჰყაროთ. ბრძანა ალიბეგმა და იქვე ტახტზედ გადაგორდა. უზომოდ გატიკნული ალიბეგი ბორგავდა და ქშინავდა ტახტზე, მინამ ყელში ამოსულმა კახურმა კისერი არ მოსწყვიტა და უგონოდ არ გახადა.

—

მთელი ღამე სოფ. ნ—ში გზირების ღრიანცელი არ შეწყვეტილა.

— ხვალ სასოფლოზედ გამოდით გა...მო...მო...დით!.. გათენებისას-ღა მისწყდა გზირების ხმა.

ჯერ მზე არ ამოსულიყო, რომ სასოფლოზედ ხალხმა უკვე თავი მოიყარა. მზე კარგა მაღლა წამოვიდა, როცა ალიბეგმა გაღვიძება ინება. ალიბეგი მინამ პირს დაიბანდა, მოიკაზმებოდა და ჩაის მიირთმევდა, უკვე კარგა სასოფლო სადილობამ მოაღწია.

ილაჯ-გამოლეული ხალხი ის ის იყო შინ წასასვლელად გაემზადა, როცა სამმართველოს აივანზედ ალიბეგი გამობრძანდა და რიხიანის ხმით გადმოსძახა ხალხს:

## კორესპონდენცია.

—

**ს. სალომინაო.** მე მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო, ბ-ნო რედაქტორო, ჩვენის სოფლის გაჭირვებულს მდგომარეობას.

პირველი ჩვენი ნაკლულევანება არის უგზოობა. მთელი სოფლები გარეშემო შემოცულია დიდი მაღალი ორღობემესრულით და დატოვებულია ორორი და სამ-სამი არშინი ძლიერ ვიწრო გზები, სადაც ავდრიან დღეს გავლა ძლიერ საძნელოა; სადმე ტალახებში ჩაიჩეხება ადამიანი და ჩაირჩვება, ნამეტურ ზამთრობით, გიორგობისთვიდგან აპრილამდის. ხშირად არის ისეთი წლები, რომ სოფ. სალომინაოს მეზობელი მეზობლისას ვერ მიდის, ოთხი-ხუთის თვის განმავლობაში ეკკლესიაზედ ვერ მიდის დიდის ტალახებისა და ვიწრო გზების მიზეზით. ეს მისი მიზეზია, რომ ყველა მემამულეებმა თავიანთი ადგილები საყანეებად შეღობეს; ძველი მამა-პაპური გზები გააუქმეს და სადღაც უალაგო ალაგებზედ, კლდეებზედ მიამწყვდიეს ვიწრო გზები და სადაც ექვსი არშინი იყო სიგანეზედ მიწა, იქ ორ-ორი სამ-სამი არშინი დასტოვეს. ბევრჯელ სოფელში ამის გამო დიდი აყალ-მაყალი, ჩხუბი გაიმართა, ბევრჯელ ადმინისტრაციამაც ნახა ეს უწესობანი, მაგრამ ყურიც არ გაიბერტყა; ამ გაჭირებაშია დღესაც ეს სოფლები.

მეორე ნაკლულევანებად უნდა ჩაითვალოს შემდეგი: ზემოთ ჩამოთვლილს ხუთ სოფელში არსად არ მოიპოვება ერთი რიგიანი სკოლა. აფთიაქი ექიმი და ფერშლები ხომ ღმერთმან შეინახოს, ამ სოფელში არ მოიძებნება, გარდა მარჩიელებისა. ვისაც-კი ავად ვინმე გაუხდება ოჯახში, გარბის მარჩიელებთან და ისინიც გაშლიან ბანქოს, ან მაჯას გაუსინჯავენ და ეუბნებიან ავადმყოფის პატრონს საეტლო წირვა ან საპურშავო წირვა გინდაო, დიდი ცხვარი, ვერძი დაკალი, მღვდელს აწირვინე და სხვა...

სოფელ სალომინაოში ოთხი თვეა თითქმის, რაც ყვავილი მძვინვარებს, ბევრიც იმსხვერპლა, მაგრამ დღემდის ადმინისტრაციას არავითარი საშუალება არ უხმარია სოფლის დასახმარებლად; დღემდის სოფელში ამცრელებიც არ მოსულან და ხალხი წყდება.

ესა და ბევრი ამისთანა უბედურება ეწვია ჩვენს სოფელს, მაგრამ ყურისმგდებელი არავინა ჰყავს. ნუ-თუ ჯერ არ დამდგარა დრო, ყურადღება მოგვექცეს?!..

ა. მებურიშვილი.

## მცირე შენიშვნა.

—

ამ რამდენისამე ხნის წინად, სრულიად შემთხვევით, ამოვიკითხე „ნოვ. ობ.“-ში შენიშვნა, რომელიც გვაუწყებდა, რომ რადგანაც ქართველთ სოფლებში საკმაოდ არ შეუსწავლიათ ჯერ რუსული ენა, ამისათვის არ არის აღკრძალული ქართულს ენაზედ წირვა-ლოცვაო“.

ამგვარი ლაღადება ხსენებულის გაზეთისა ამტკიცებს, რომ ამ შენიშვნის დამწერი ჭარაოდეს არ ყოფილა ჩვენს სოფლებში...

ერთი ეს მიბრძანოს ამ შენიშვნის ავტორმა: რომელს საქართველოს სოფელში ხალხი ლაპარაკობს რუსულს ენაზედ? ანუ ჩვენი ხალხი რომ ლაპარაკობდეს კიდეც ამ ენაზედ,— ნუ უკვე ახლად შეთვისებული ენა იმოდენად აღმოფხვრის მასში დედის რძესთან შეწოვებულს და ძვალსა და რბილში გამჯდარს დედა-ენას, რომ ამ უკანასკნელზედ წირვა-ლოცვის მოსმენის, პირჯვრის-დაწერას გაცვლევინებს სხვაზედ? ანუ ვინ უნდა აღგვიკრძალოს იმ ენაზედ მღვდელ-მოქმედების მოსმენა, რომელიც ორიათასი წელიწადია გვქონდა, ვვაქვს და გვექნება?

ყოველივე ამის წინააღმდეგია ცხოვრება და ისტორია.

შამა-ქადაგიძე.

სოფ. დილიკაური.

## რიონის მიდამო.

—

მრავალ სხვა-და-სხვა ჯიშის მცენარეთა შორის რიონის მიდამოში ბევრი მოდის თრიმლის ხეც. ეს ხე მოფენილია კლდოვან ადგილებზე დაწყებული ქუთაისის მაზრის სამზღვრიდგან რაჭის სამზღვრამდე. ადგილობრივი მცხოვრებლები ხმარობენ ამ ხეს მარგილებად და სარებად, მის ფოთოლს და ყლორტებს ხმარობენ შალის საღებავად. თრიმლის ხის სარი ძლიერ დიდხანა სძლებს, ხოლო საღებავი-კი სწვავს და მალე აფუჭებს შალს.

ადგილობრივმა მცხოვრებლებმა არ იციან თრიმლის ხმარება ტყავის კეთებაში. კარგი იქნება მცხოვრებლები მისდევდნენ ამ ფრიად გამოსარჩენ ხელობას. შესამუშავებელი მიწა ამ ადგილებში ფრიად ცოტაა, ასე რომ თრიმლის წარმოება ტყავის გასაკეთებლად მათთვის ერთი საშუალება იქნება ცხოვრებაში.

## რუსეთის ცხოვრება.

—

მელიორატული კრედიტის პროექტი მალე წარედგინება სახელმწიფო საბჭოს („რუს. ვედ.“).

—

სამიწათ-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წარუდგინეს პროექტი, რომლით განზრახულია საურთიერთო ნდობის დაზღვევის შემოღება ბაღებისა და ვენახებისათვის.

—

ზოგიერთ გაზეთებს გაუგონია, ვითომ შინაგან საქმეთა მინისტრი დურნოვო ინიშნება მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეთ, ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრად სიპიაგინი.

—

სამიწათ მოქმედო სამინისტროს განუზრახავს გამოიკვლიოს სრულიად და დაწვრილებით შიდა გუბერნიების ერობათა სამეურნეო მოღვაწეობა.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

„ტაიმს“-ის კორესპონდენტი იუწყება სიმლიდგან 12 აგვისტოს:

ჩიტრალისა, მალაკანდის სრუტისა და მდ. სვატის ფონის დასაცველად შემდეგი განკარგულებაა მომხდარი: ჩიტრალის სიმაგრეში პენჯაბის მე-25 რაზმის ექვსი როტა იქნება დაყენებული ორის სწრაფლ-სასროლის ზარბაზნით. ჰაირტშიაც ორი როტა იქნება დაყენებული. მეორე ბატალიონი გურკასოვის მესამე რაზმისა ორის სამთო ზარბაზნით კალადასაში იქნება დაყენებული. ამ მხედრობის სარდლად პოლკოვნიკი გეჩინსონი იქნება. ინდოეთის მახლობლად პოლკოვნიკის უოტერფილდის სარდლობით იქნება დაყენებული ერთი ბრიგადა. ბრიგადა შესდგება სიკხთა 15 რაზმისა და პენჯაბის მე-29, 31 და 34 რაზმისაგან ერთის სამთო ბატარიისა და საპერთა როტით. ამათგან სამი რაზმი მალაკანდის სრუტესთან დაეწყობა, ხოლო ერთი მდ. სვატის ფონთან არც ერთი ბრიტანიის რაზმი არ იდგება ჩიტრალში, მაგრამ პეშავერსა და ნოშაგრაში მყოფი რაზმები მუდამ მზად იქნებიან, თუ რომ რაიმე უწესოება მოხდება. ჯანდალის მინდვრის გამაგრებას ამ ერთს კვირაზედ დაასრულებენ.

იმის შესახებ, თუ შემდეგში რა მოელის ჩიტრალს, ჯერ არავინ-რა იცის. „ტაიმს“-ის კორესპონდენტი იუწყება მალაკანდიდგან:

მთავრობის პოლიტიკის გამო ჩიტრალის შესახებ მხედრობა კმაყოფილი დარჩა. მალაკანდისა და მდ. სვატის ფონის დაცვაზედ მცირე ხარჯი მოგვდის და ამავე დროს სრულს კანტროლს ვიცავთ იმ ქვეყნების შესახებ, რომელნიც ინდოეთისა და ჩიტრალის საზღვარზედ მდებარეობენ. ამასთანავე დირის ხანის თანხმობისა გამო, რომელმაც სიტყვა მოგვცა ლავარის გასავალი წესიერად დაიცვას, ჩვენ მუდამ შევვიძლიან დავუშალოთ, არავინ ჩაერიოს ამ ადგილების საქმეებში, რომელნიც ამ ჟამად ბრიტანიის გავლენის ქვეშ იმყოფებიან.

იმის შესახებ, თუ ჩიტრალის გამაგრება რამდენი ჯდება, ამის შესახებ „რეიტერის სააგენტო“ იუწყება სიმლიდგან:

წლიური ღირებულობა ჩიტრალისა მის დატოვების შემდეგ შეადგენს მილიონ-ნახევარსაო.

## უცხოეთი

—

**ინგლისი.** „ტაიმს“-ში დაბეჭდი-

---

— მე უნდა გამოგიცხადოთ და თან გაგაფრთხილოთ, რომ უკეთუ ამ დღეებში თქვენზედ დარჩენილს მამულის შესყიდვის ვალს სრულიად არ შემოიტანთ, უნდა იცოდეთ, რომ მე ნება მაქვს მოცემული ყოველივე, რაც-კი გაბადიათ სახლში თუ გარეთ, ტანზედ თუ ფეხზედ, ყველა გაგიყიდოთ. აი ესა მქონდა გამოსაცხადებელი. ეხლა-კი წადით და ფულის თავდარიგი დაიჭირეთ. ხვალამდის, სადაც უნდა იყოს, უნდა იშოვნოთ ფული და წარმომიდგინოთ. გაიგეთ?

— სარჩო-საბადებელი-კი არა, ჩვენც რომ გაგვყიდოთ, ჩვენ ამოდენა ვალის მოშორება არ შეგვიძლიან! აკი მოვახსენეთ უფროსს, არც მამულები გვინდა და აღარც ფულის შემოტანა შეგვიძლიანო. ინებეთ თქვენი მამულები, გავტყავდით და მეტი აღარ შეგვიძლიან! შეჰბღავლა ერთხმად სოფელმა.

— სულ ტყუილი ლაპარაკია, აუმაღლა ხმა ალიბეგმა. ჯანი და სული უნდა გაიგდებინოთ და ფულები იშოვოთ!

— ბატონო, ერთი საცოდავი სული-ღა დაგვრჩენია და თუ ფულად გამოდგება, ისიც ამოგვხადეთ.

— რა გგონიათ, მერე თქვენი მურტალი სული დიდი საფასურია თუ?..

ხმა-კრინტი აღარ დასძრათ. გასწით და საქმეს შეუდექით.

ჩაფრებო, გზირებო, აბა გაისტუმრეთ ხალხი..

ჩაფარ-გზირებმა მათრახ-ჯოხები აამაღლაურეს და ხალხი სასოფლოდამ გარეკეს.

აღელვებულმა ალიბეგმა აივანზე გაჩქარებით იწყო სიარული და უდანაშაულო აივნის ფიცრებს უწყალოთ ურახუნებდა თავისს ფეხსაცმლის ქუსლზე მიჭედილს ნალებს. უცებ ალიბეგი შესდგა და ჩაფარ-მოხელეებს უთხრა:

— გაიგონეთ მაგ თავხედების ყბედობა? მე ვუჩვენებ სეირს... თქვენ არ მამშორდეთ... მეტი ღონე არ არის, უნდა სასტიკი ღონე მივიღოთ და მაგ უტვინოებს დავუმტკიცოთ, რომ ძალასთან თამაშობა მარგებელი არ არის. უნდა ეხლავე გითხრათ, რომ სოფლის ვალის შესავსებლად ნება გვაქვს, რაც მოეძებნებათ: საქონელი, ცხენი, ქათამი, სახლის ავეჯი, ტანისამოსი, ერთი სიტყვით, ყველაფერი გამოვიტანოთ და გავყიდოთ. თუ წინააღმდეგობა გაჰბედოს ვინმე, დაჰკარით შეუბრალებლად, მე აქა ვარ....

ეხლა-კი დღის საჭირო საქმეებს შევუდგეთ. ცხენები არ დაგავიწყდეთ, ჩაფრებო! თქვენ, გზირებო და ნაცვალო, ჩვენი თავი არ დაივიწყოთ. გუშინ როგორღაც ღვინო არ ვარგოდა. განა უკეთესი ღვინო არ იშოვება? ეხლა თქვენ იცით... ალიბეგი გატრიალდა და გულუხვი სადილის მოლოდინში აივანზე სიარულით ერთობოდა.

—

გათენდა მეორე დილა. მზემ წამოიმაღლაურა და ალიბეგთან არავინ მოდიოდა... გაბრაზდა—გაცეცხლდა ალიბეგი. შემოჰკრიბა მოხელე-ჩაფრები, წინ ნაცვალი გაიმძღვარა და სოფლის ზემო-უბანს შეერია... სულ ორ წამში რა ამბავი მოხდა ზემო უბანში? ნუ-თუ წუნკალა დიდოს ლაშქარი შემოესია.... რა უცებ ასტყდა ღრიანცელი, ტირილი და ვიში... პატარა ბალღებს, დედაკაცებს რაღა ატირებთ? სახლების დარაჯი პატრონის ერთგულ მყეფართ რა კვნესა გმინვა დაემართათ? ამ ერთობის გმინვა-ყრიამულში რა გარკვევით მოისმის მწვავე მათრახის ტყლაშუნი და მარჯვე სახრის ტკაცუნი და თან—კაცო, რადა მკლავ, რად ერთვის?.. მერე ვაჟ-კაცი იძახის ამას? ნუ თუ ისე დაეცა, ისე დალოჩრდა ქართველი, რომ თავისი მფარველობა აღარ შეუძლიან? წუნკალა დიდო სჯობნის? არა არა!.. დიდო ასე თამამობას ვერ გაჰბედავს.... ძალაძლიერებით შემოსილ შეიარაღებული უძლურს დაჰჯდომია და მისის უფარხმლობით, მის ღონე—პიროვნების შეზღუდვით სარგებლობს და უწყალოდ—წარბშეუხრელად ნავარდობს. ალიბეგმა მხლებლებით აიკლო სოფლის ზემო უბანი. ნაბეგვი ხალხი ნარბევით დატვირთა ჭ სამმართველოს შენობისკენ გამოისტუმრა ზემო უბნის ყოველივე ავლა-დიდება.

მხლებლები სოფლის დანარჩენ უბნებისკენ გაისტუმრა და თითონ ერთის გზირით სამმართველოსაკენ წავიდა, რომ სოფლის ნადავლი მიელო და ჯეროვან ალაგას შეენახა გასყიდვამდის. მაგრამ მარტო უკანასკნელი მოვალეობით არ შეზღუდა ალიბეგმა თვისი მოქმედება.

სასოფლო სამმართველოს გვერდზედ გზა ჩამოუდიოდა. გზაზედ მიმავალს სოფლელს გზირს აჭერინებდა და ლანძღვა-გინებით ყველას ერთისა და იმავე გამოცდის შემდეგ ჯეროვანს მსჯავრსა სდებდა.

— რა ქენ, იშოვნე ფული, თუ არა? ეკითხებოდა ალიბეგი.

— საიდამ ვიშოვიდი, შენი ჭირიმე, იყო პასუხი.

— ვერ იშოვე!? მე გაშოვნინებ! აბა, გზირო, დაჰკა და მალე გააძრე ტანისამოსი!

ერთგული გზირი გაახურებდა ჯოხს და საცოდავს გლეხს ტანისამოსს აძრობდა. დედიშობილა ადამიანს ალიბეგი აჭრელებდა სილებით (ესეც-კი უნდა ითქვას, რომ ნებიერ „ჩინოვნიკს“ ხელების ტკენისა ეშინოდა და ამიტომ თუ სცემდა მხოლოდ ტიტველა ადამიანს (?)!..

რაკი ალიბეგი იჯერებდა გულს, საცოდავი გაბეგვილი გლეხი წუმპე გომში იგზავნებოდა თვისის უდანაშაულობის მოსანანიებლად.

ასე და ამ რიგად ერთი გუნდი მძლავრთა სოფელში ნავარდობდა და მეორე-კი სოფლის სამმართველოსთან ბობოქრობდა და დარაჯობდა სოფელში მოკრებილს ნადავლს.

ალიბეგმა სასოფლო სამმართველო სოფლის ნადავლის საჭურედ გარდააქცია.

ორი კვირა ინავარდეს სოფლად ალიბეგის დამქაშებმა. რა-კი სოფლის თვითოეული ოჯახი გაანადგურეს და სახლის პატრონი ხის ქვეშ რიყეზედ გამორეკეს, თვისს სარდალს ალიბეგს მოახსენეს, რომ აღსრულებულ იქმნა სურვილი თქვენიო.

— ხომ არავინ დაგრჩათ დაურბეველი?

ჰკითხა ალიბეგმა ერთგულ ხელქვეითებს.

— არა, ბატონო, მოახსენა სოფლის ნაცვალმა.

— მხოლოდ სამი კომლი დაგვრჩა და ისიც სახლის უფროსი ვაჟკაცები ავად არიან და არც თუ სახლში აბადიათ-რა! მოახსენა ალიბეგს გოგია ჩ ფარმა.

— როგორ მოგსვლიათ ეგ! შენგან არ მეგონა, გოგი!

— ავად არიან და არც არა აქვთ-რა და რა გამოგვეტანა!

— ავადმყოფნი ლოგინში არა წვანან?

—დიაღ!

— ოჰ! და გასწი ეხლავ გოგი, ავადმყოფები ლოგინიდგან გადმოყარე და ლოგინი გამოიტანე.

ჩაფარი და გზირი გაემგზავრნენ ავადმყოფთა სახლებისკენ. მომაკვდავნი შეუბრალებლად გადაყარეს მიწაზე, მოხვეტეს ლოგინი და ალიბეგისაკენ გამოეშურნენ.

მომაკვდავთა საცოდავი გულ საკლავი კვნესა გმინვამაც-კი არ შეაყენა ძლიერთა მტარვალობა... საცოდავი ავადმყოფნი ნესტიანმა მიწამდა შეიბრალა და მალე მიიბარა და დიდხანს აღარ აცქერინა სოფლის ვაება-ბეჩაობა წიოკობას........

უკანასკნელის მსხვერპლის საწირავიც რომ დააბინავა საჭურეში, ალიბეგმა თვისს უფროსს რიხიანი ქაღალდი მისწერა.

„შევასრულე რა ჯეროვანად ბრძანება თქვენის მაღალ კეთილშობილებისა, მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ სოფ. ნ—ში მოკრებილი სოფლის ვალის გასასტუმრებლად, მცხოვრებთა ავლა-დიდება დატუსაღებულ არს ალაგსა შინა საიმედოსა! დაწვრილებით გარემოებათა ანუსხვა მექნება ბედნიერება პირად განგიცხადოთ, რადგან დიდი შრომა-მოღვაწეობა

ლია გლადსტონის წერილი, რომელშიაც ლიბერალთა წინამძღოლად ნამყოფი აცხადებს, რომ მას არასოდეს არ უთქვამს—ლორდთა პარლამენტი გაუქმებულ უნდა იქნესო.

—

**ისპანია.** მადრიდიდგან სწერენ დეპეშით „გრაჟდანინს“: „ნამდვილ წყაროებიდან იტყობინებიან, ვითომ მარშალს მარტინეც კამპოსს შემოუთვლია მთავრობისათვის, რომ თუ ახლავ ასი-ათას ჯარს არ მომაშველებთ, უმჯობესი იქნება კუბა განთავისუფლებულ და დამოუკიდებელ სახელმწიფოთ ალვიაროთო.“

## უცხოეთის წვრილი ამბები.

—

ამერიკელი ანტრეპრენერების მოქმედება სწორედ საყურადღებოა თავისის ორიგინალობით. ერთის დრამისათვის, რომელსაც სახელად „A Dark Secret“ ეწოდება, ვიღაც ანტრეპრენერს შემდეგი სცენა გამოუგონია: ბოროტ-მოქმედი მოთამაშე ქალს ვეებერთელა წყლით სავსე აუზში აგდებს; ამ დროს გაჩნდება ქალის საყვარელი, შეცურდება ნავით და ქალს დარჩობისაგან გადაარჩენს. დამსწრე საზოგადოება აღტაცებაში მოდის ამ სანახაობით და დიდის ტაშის კვრით ეგებება არტისტს. მეორე დრამისათვის თეატრის დირექტორმა აი რა მოიგონა: მოქმედების გმირი დრამაში საბრუნებელ ხერხის დახლზედ მიაბა, ასე რომ ხერხი თან-და-თან უახლოვდებოდა. სცენაზედ ამ დროს გამოჩნდება ვიღაც გმთილის მეოფელი და ანთავისუფლებს მოსალოდნელ უბედურებისაგან. იმისათვის, რომ თეატრის დარბაზი ხალხით სავსე იყოს, ამერიკელი დირექტორები სცენაზედ მოთამაშეებად იწვევენ არტისტებს, რომელნიც წინად ფირალთ მოთავენი, ცნობილნი კაცის მკვლელნი და ყალბის ფულის მომჭრელნი იყვნენ და ციხეში ისხდნენ. ერთს პიესაში, რომელიც მოქმედებს რკინის გზაზედ, პიესის გმირი სახალხო მატარებელსა სძარცვავს; ამ როლისათვის დირექტორი იწვევს არტისტს, რომელიც წინად მართლა სახალხო მატარებლებსა სძარცვავდა. ამისათვის სცენაზედ მოთამაშე არტისტი ჯერ მატარებელს აჩერებს და შემდეგ სძარცვავს და ბევრი ამგვარი რამ გამოიგონეს. ასევე იწვევენ არტისტ ქალებს. მაგალითად, იმ როლში, რომელშიაც ცოლი ქმარს განშორებია, მართლა რომელიმე ქმარს გაყრილი ქალი თამაშობს, მოტყუებულ ქალის როლს ფაქტიურად მოტყუებული ქალი თამაშობს და სხვანი. სამაგიეროდ ამერიკის თეატრების დარბაზები მუდამ სავსეა ხალხით.

—

მდიდარს ირლანდელს მაკ-ბრიდს, რომელიც ბუფალოში სცხოვრებს, საჩუქრების გაგზავნა განუზრახავს სამის ევროპელ მოხუცისათვის: პაპის ლეონ XIII-ისა, გლადსტონისა და ბისმარკისათვის. საჩუქრად იქნება მშვენიერი ეგზემპლიარები „დეკლარაცია ამერიკის თავისუფლებისა“. ტექსტი დაბეჭდილია თეთრს სხვა-და-სხვა ფერადოვანს აბრეშუმის ქსოვილზედ. სწორედ საუცხოო რამ არის ეს წიგნები სტამბის ხელოვნების მხრივ.

მხვდა წილად თქვენის ბრძანების მტკიცედ აღსასრულებლად. ვტოვებ რა სალაროსა, ნივთთა გასყიდვამდე, ბეჭედსა ქვეშე ჩემისასა, ვემგზავრები ს. გ—მსა.

შტატ გარეშე მოხელე ალიბეგი“..

ალიბეგმა ყველა აუწყა უფროსს, ხოლო ის-კი, რომ ნადავლის არა მცირედი ნაწილი შინაური ფრინველი საერთო საჭურეს აალდინა, ამაზე კრინტიც არ დასძრა.

ან რა მოსახსენებელი იყო ეს, რადგან ალიბეგმა ფრთოსანთა საუკეთესო ბინად მძლავრი მოხელეთა წითელი კიდობანი სცნო.

—

სოფ. გ—შიაც ინავარდა ალიბეგმა. აქაური საქმის გარემოება აღარ ინება ალიბეგმა ქაღალდით ეცნობებინა უფროსისათვის და თვით გაემგზავრა თ—კენ.

აქ ეახლა უფროსს და პირად მოახსენა ყოველივე.

ბევრი იცინეს ძლიერთ ჩაგრულთა ლაჩრობის გამო. ბოლოს უფროსმა ველარ შეიმაგრა თავი, გადაეხვია ერთგულს ალიბეგს, სამჯერ მხურვალედ დაუკოცნა ტუჩები და თან დაუმატა:

— ყოჩაღ! ყოჩაღ, ჩემო ალიბეგ! უფროსის ესოდენი წყალობით გახარებული ალიბეგი სახლისაკენ გამოეშურა.... მაგრამ შეკეტილი ოთახის კარები ველარ იტევდა ქებისაგან გაფუებულს ალიბეგს. ალიბეგმა უფროსის გაბედნიერებული ტუჩები ხელ-სახოცით ფრთხილად მოიწმინდა. ხელსახოცი საიმედო ადგილას შეინახა და თითონ-კი თავ-აღებული ამაყად აივანზედ გამოვიდა.

ი. კ—ლი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

10 აგვისტო.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორი და დედოფალი იმპერატრიცა 9 აგვისტოს კრასნი სელოში მიბრძანდნენ.

**კიევი.** ცეცხლის გემზე „ატამანზედ“ კანევის მახლობლად ქვაბი გასქდა და 30 კაცი დაასახიჩრა. რამდენიმე კაცი დაირჩვა.

**ნიჟნი ნოვგოროდი.** უკანასკნელ სამ დღეს დიდ-ძალი ვაჭარი ხალხი მოვიდა. ვაჭრობა გაცხოველდა. რკინის გვარიან კარგი ვაჭრობაა. ფურცელი რკინა ორი შაურით უფრო იაფია, ვიდრე შარშან იყო, გალიცინის რკინის გარდა, რომელსაც ფასი დააკლდა. პირველ ხარისხისას შავს ჰყიდიან 2 მან. და ორ აბაზად, სხვას შარშანდელ ფასად.

**იალტა.** ბუხარის ემირი სიმფეროპოლიდგან კავკავში წავიდა.

**რომი,** 9 აგვისტო. იმის გამო, რომ საფრანგეთმა დაარღვია იტალია-ტუნისის სავაჭრო ხელშეკრულობა გაზეთი „რიფორმა“ ამბობს: ამ შემთხვევამ იტალიელთა შორის უკმაყოფილება დაჰბადა, რომელიც საყურადღებოა ყველასთვის თუ სურს სამაგიერო არ მიიღონ.

პეტერბურგის ბირჟა, 4 აგვისტო.

| | მყიდველისა. მან. კ. | გამყიდველისა. მან. კ. | გაყიდულისა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | — „ | 7,40 |
| 5% მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 216 |
| $4\frac{1}{2}$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | $100\frac{1}{4}$ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | $101\frac{1}{2}$ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. . | $99\frac{1}{2}$ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | $101\frac{1}{2}$ — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა . | $99\frac{1}{2}$ „ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | | $99\frac{5}{8}$ | — „ |

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**გ. მ. ჩიქოანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. ხორიკინ შჩერბინინისა,** 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი,** 1—$1\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი,** 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. გ. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 7—$7\frac{1}{2}$ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეფ [illegible] აწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)



ახლად გამოვიდა და წიგნის მაღაზიებს დაურიგდათ გასასყიდად

ფილოსოფოსი

# სოკრატი.

თარგმანი მ. შარაძისა, გამოცემა შარაძისა და ამხანაგობის სტამბისა. წიგნი 64 გვერდია და ღირს ერთი შაური. ვინც ნარდად და დაკლებულის ფასით სყიდვას ისურვებს, უნდა მიჰმართოს მ. შარაძისა და ამხანოგობის სტამბას ნიკოლოზის ქუჩაზედ, № 21 „ივერიის“ რედაქციის ქვეშ.



დამზღვევი საზოგადოება

# „იაკორი“

(ღუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს

გარდა სათადარიგო ფულისა.

## დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

## დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ ვინება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და იქანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითიგანცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის [illegible] დაზღ ევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სა[illegible] ი ალელოვისა, თეოდორე ალესანდრეს ძის ივანოვის სადგომში. (100—721—ა)



## პ. ს. დოროჟნოვი (იაროსლავიდგან).

სასახლის ქ. ახალი სახლი სარაჯევისა, ეზოში.

ჩემ მიერ ახლად გახსნილს მაღაზიაში ვურჩევ ისარგებლონ და იყიდონ

**იაფ ფასად**

ბაქოს იარმუკობაზედ დარჩენილი საქონელი: ნამდვილი იაროსლავური ტილო, ხელით ნამუშავარი, პერანგებისა, პერანგის ამხანაგებისა, ზეწრებისათვის და სხ. ყველა ფასებისა; ისყიდება აგრეთვე სტოლის საფარებელი ხელსახოცები, ნაქსოვი საბნები, ხავერდის ნოხები, სუფრები და ტილოსი და ბამბეულობის საქონელი.

ეს ვაჭრობა სულ მცირე ხანს იქნება და ზემოდ აღნიშნული სავაჭრო დანიშნულ ფასზედ ნაკლებად არ გაისყიდება. (1—1644—1).



# კელლერის ფხვნილი მწერთათვის

ისყიდება **ყველგან** და **ყველა** ცნობილ ვაჭრებთან.

ამ თხუთმეტის წლის წინად ეგრედ წოდებული „სპარსული“, ხოლო ნამდვილად **„კავკასიური“** გვირილა (დაფქული კავკასიის მთებზედ მოსულ გვირილის ორ გვარ ყვავილისაგან) ცნობილი იყო როგორც საუკეთესო და ნამდვილი საშუალება ყოველგვარ მწერთა წინააღმდეგ სახმარებლად.

ამისა გამო ხსენებული ფხვნილი აუარებელი გაჰქონდათ ყველა ქვეყნებში, ვიდრე ადგილობრივ მცხოვრებლებმა თვითვე არ წაახდინეს იგი სხვა და-სხვა ყვავილების შერევითა და მთლად არ დასცეს იქაურ გვირილით ვაჭრობა ძირს, ასე რომ რუსეთმაც-კი შემდეგ **„დალმატური“** გვირილის ხმარება ამჯობინა, თუმცა ეს უკანასკნელი ბევრით უკან ჩამოუვარდება ძალით **ნამდვილს** „კავკასიის გვირილას“.

ამ რიგად **კავკასიის გვირილის** ნაცვლად უცხოეთიდგან გამოგვაქვს **დალმატური გვირილა** და პირველი-კი თითქმის ყველამ დაივიწყა.

რომ კვლავ აღვადგინა ღირსება და ნდობა ჩვენის მამულის ნაწარმოებისა, 1892 წელს ჩვენ დავაარსეთ კავკასიაში საკუთარი სააგენტო, ქ. ალექსანდროპოლში, რათა ხსენებულმა სააგენტომ ადევნოს თვალი კავკასიაში ამ მცენარის კულტურას და საუკეთესო ჯიშის გვირილა იყიდოს ხოლმე ადგილობრივ გლეხებისაგან **პირველ ყვავილობის დროს** და უფრო კი „**არაგაცის**“ მთის კალთებზედ.

შემდეგ ყვავილები ჩვენს ფაბრიკებშივე იფქვის მოსკოვში და ამიტომ, რასაკვირველია, უმჯობესია მოითხოვოთ ხოლმე წარწერა ამხანაგობისა რ. კელლერ და ამხ., როგორც თავდები საქონლის ღირსებათა.

ვ. უ. ფაბრ.-ვაჭრ. ამხან-ბა რ. კელლერ და ამხან., მოსკოვში.

(2—16—2).